საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ანალიზი და შეფასება

DOI:10.36962/ECS106/11-12/2024-7

ოთარ კიკვაძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
otokikvadze@gmail.com

რეზიუმე

განხილულია საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების მდგომარეობა 2022-2023 წლებში. ჩატარებულია ეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიზი და შეფასება. კერძოდ, განალიზებული და შეფასებულია სახელმწიფო შესყიდვების გზით შესყიდული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მოცულობა, საშუალო და მცირე ბიზნესის მონაწილეობა შესყიდვების პროცესში და სხვა.

ცალკე თავად წარმოდგენილია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობა სახელმწიფო შესყიდვების პროცესის მონიტორინგის კუთხით.

სახელმწიფო შესყიდვების საქმიანობის ნაწილი შეფასებულია დადებითად (მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვებში მცირე საწარმოთა ჩართულობის შესაძლებლობა, ტენდერებში დადებულ ხელშეკრულებების რიცხვის ზრდა და სხვა), ნაწილი კი უარყოფითად (მაგალითად, მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი დარღვევები და სხვ.).

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, სააგენტო, შემსყიდველი, მიმწოდებელი, ტენდერი, ხელშეკრულება.

შესავალი

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სისტემა მუდმივი რეფორმირებით ხასიათდება, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია, როგორც ამ პროცესის მნიშვნელობით, ასევე იმ ვალდებულებების შესრულებით, რაც საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ფარგლებში აიღო. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ძირითადი ძირითადი ცვლილება 2010 წელს უკავშირდება, რადგანაც 2010 წლის 1 იანვრიდან საქართველში მოქმედ ყველა შემსყიდველ (სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი ორგანიზაცია) ორგანიზაციას გაუჩნდა ვალდებულება სახელმწიფო შესყიდვები ახალ ელექტრონულ ფორმატში ახალი საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად განეხორციელებინა.

საქართველოში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა დადებითადაა შეფასებული სხვასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე სისტემა, რომელიც ხელს უწყობს თანაბარ კონკურენციას და ხელმისაწვდომობას ბაზარზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, სახელმწიფო შეყიდვების სისტემის სრულყოფის მიზნით, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა გასაწევი, რასაც ადასტურებს მიმდინარე პერიოდში საქართველოს მთავრობისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ დაწყებული რეფორმირების მიმდინარე პროცესი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა ახალი საკანონმდებლო ბაზა, რომლის ამოქმედებამაც ნაცვლად დაანონსებული 2025 წლის 1 იანვრისა 2027 წლის 1 იანვრამდე გადაიწია.

აქედან გამომდინარე, ჩვენ დავინტერესდით და შევისწავლეთ დღეს არსებული სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, მათ შორის მისი მაკოორდინირებელი უწყების საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობა, განსაკუთრებით მონიტორინგის ნაწილში ბოლო წლების (2022-2023) განმავლობაში და მივეცით მას შეფასება და ასევე წარმოვადგინეთ შესაბამისი რეკომენდაციები.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების ანალიზი 2022-2023 წლებში

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართული ფუნქციონირება ნებისმიერ ქვეყანაში უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია, როგორც სახელმწიფო ინტერესებისთვის ასევე ბიზნეს სექტორის მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის. სახელმწიფო უმსხვილესი მხარჯავია და თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ხარჯვის უმთავრესი ინსტრუმენტია, გასაგებია კერძო სექტორის მაღალი დაინტერესება, რომელიც თავის მხრივ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს მიმწოდებლად გვევლინება.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%-ის ტოლია [1, გვ. 10]. შესყიდვების ძირითადი ნაწილი ელექტრონული წესით (ელექტრონული ტენდერი, კონსოლიდირებული ტენდერი) ხორციელდება, დარჩენილი ნაწილი გამარტივებული შესყიდვის წესით. 2022 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 7 398 621 294 ლარი შეადგინა. აქედან ელექტრონული ტენდერებით განხორციელებული შესყიდვების ხვედრითი წილი 75%-ს შეადგენდა. 2023 წელს სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტების ღირებულებების ჯამური მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 10 493 526 646 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 42%-ით მეტია. 2023 წელს მსგავსად წინა წლისა შესყიდვების უდიდესი ნაწილი (78.35%) ელექტრონულ ტენდერებზე მოდის, 11% - კონსოლიდირებულ ტენდერებზე, ხოლო 10,5% გამარტივებული შესყიდვის ფორმით განხორციელებულ შესყიდვებზე (იხ. ცხრილი 1 და ნახაზი 1). შესყიდვის საერთო მოცულობის მკვეთრი ზრდა დიდი ალბათობით დაკავშირებულია ქვეყანაში (ისევე როგორც მთელს მსოფლიოში) დასრულებული პანდემიით (COVID 19), სწორედ ამ ფაქტის შემდეგ გააქტიურდა მთელი რიგი ეკონომიკური თუ ინფრასტრუქტურული საკითხები, რომლებიც პანდემიის პერიოდში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შეჩერებული იყო. თავის მხრივ დადებით ტენდენციად უნდა ჩავთვალოთ ელექტრონული შესყიდვების წილის ზრდა, რადგან აღნიშნული შემსყიდველ ორგანიზაციებს უქმნის ფართო შესაძლებლობას მოიძიონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია რელევანტური ბაზრების შესახებ, იხილონ სხვა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტენდერების შედეგები და სხვა. იგივე ეხება მიმწოდებლებსაც, მათ საშუალება ეძლევათ სახლიდან გაუსვლელად, შესაბამის ვებ-პორტალზე გაეცნონ სახელმწიფო სექტორის მოთხოვნას საქონელზე, მომსახურებასა თუ სამუშაოზე, მიიღონ მონაწილეობა მათთვის საინტერესო ტენდერებში, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულად გაასაჩივრონ დავების საბჭოში კონკრეტული შესყიდვა და სხვა. აღნიშნულ პროცესებს კიდევ უფრო ამარტივებს ის გარემოება, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო შესყიდვებში საჭირო ნებისმიერი დოკუმენტის მათ შორის ხელშეკრულების დამოწმება სავალდებულოა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბიუროკრატიას, ზედმეტ "ქაღალდებს", უზოგავს დროს როგორც შემსყიდველ ასევე მიმწოდებელ ორგანიზაციებს და ა.შ.

პროდუქციის, მომსახურების და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვები საქართველოში 2022-2023 წლებში [1, გვ. 11; 2, გვ. 11] ცხრილი 1

	2022	2023	ცვლილება 2022-2023 წლების პერიოდში
სახელმწიფო შესყიდვები _ სულ (ლარი) მ. შ.	7 398 621 294	10 493 526 646	+3 094 905 352 +42%
ელექტრონული შესყიდვის ფორმით: - ლარი - ხვ. წონა (%)	6 099 248 304 82,4%	9 319 247 729 89,54%	+3 219 999 425 +7%
გამარტივებული შესყიდვის ფორმით: - ლარი - ხვ. წონა (%)	1 299 372 990 17,6%	1 174 278 917 10,46%	-125 094 073 -10%



ნახაზი 1. სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა და სტრუქტურა საქართველოში 2022-2023 წლებში

ელექტრონული ფორმით განხორციელებული შესყიდვები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს, კონსოლიდირებულ ტენდერებს და კონკურსებს. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (www.spa.ge) მოცემული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს ელექტრონული შესყიდვების საერთო მოცულობის დაახლოებით 99,6% მოდიოდა ელექტრონულ ტენდრებზე და კონსოლიდირებულ ტენდერებზე, იგივე შეიძლება ითქვას 2023 წელზეც, კონკურსის, როგორც სახელმწიფო შესყიდვის ერთერთი საშუალების წილი 2022-2023 წლებში თითო წელს დაახლოებით 24 მლნ. ლარია. აღნიშნული, თავის მხრივ, აიხსნება იმით, რომ კონკურსის ფორმა მოქმედი კანონმდებლობით გამოიყენება, როგორც მხოლოდ საპროექტო სამუშაოების შესყიდვის ალტენატიული საშუალება.

ელექტრონული ფორმით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში 2022 წელს სხვადასხვა სახის საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 4 797 266 968 ლარი შეადგინა, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განხორციელებული ვაჭრობის შედეგად ხელშეკრულებები დაიდო ჯამურად 4 373 505 323 ლარზე, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ ელექტრონულმა სისტემამ ღია კონკურენციისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის პირობებში უზრუნველყო მნიშვნელოვანი ეკონომია – 423 761 645 ლარის ოდენობით (8,83%). 2022 წელს დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება შესყიდვის ობიექტებზე ასე გადანაწილდა: საქონელი 750 510 973 ლარი (17%), მომსახურება 664 826 475 (15%) ლარი, სამშენებლო სამუშაო 2 958 167 875 (68%) ლარი [1, გვ. 17].

რაც შეეხება 2023 წელს ელექტრონული ფორმით განხორციელებულ შესყიდვებს - გამოცხადებული ტენდერების სავარაუდო ჯამური ღირებულება 7 079 154 759 ლარია, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებების ჯამი 6 627 915 444 ლარი, შესაბამისად ეკონომიამ 2023 წლისთვის 451 239 315 ლარი შეადგინა, ხოლო საერთო მოცულობა შესყიდვის ობიექტების შესაბამისად ასე გადანაწილდა: საქონელი 4 268 779 053 ლარი (65%), მომსახურება 885 326 952 (13%) ლარი, სამშენებლო სამუშაო 1 473 809 439 (22%) ლარი (იხ. დიაგრამა 1).

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2023 წელს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით გვაქვს შესყიდვების საერთო მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ შესყიდვის ობიექტები 2022 და 2023 წელს არაერთგვაროვანი პრიორიტეტულობით გამოირჩევა, თუ 2022 წელს ელექტრონული ფორმით განხორციელებული შესყიდვების მთლი-

დიაგრამა 1. საქონლის, მომსახურების და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვები საქართველოში 2022-2023 წლებში [1, გვ. 17; 2, გვ. 16]



ანი მოცულობის 68% მოდიოდა სამშენებლო სამუშაოზე, 2023 წელს პირველი ადგილი საქონლის შესყიდვას უჭირავს და იგი საერთო მოცულობის 65%-ია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2022 წელს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების თითქმის 62% ხოლო 2023 წელს თითქმის 60% არის მცირე მოცულობის შესყიდვები (50 000 ლარზე ნაკლები), რაც საქართველოში მოქმედ მცირე ბიზნეს სუბიექტებს ტენდერებში მონაწილეობის დიდ შესაძლებლობებს აძლევს. ბიზნესის მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების მიმართ მზარდი დაინტერესება ასევე ჩანს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებელთა რეესტრში, კერძოდ 2022 წელს რეგისტრირებულ მიმწოდებელთა სიას 3550 ხოლო 2023 წელს 3508 ახალი სუბიექტი დაემატა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2022 წელს გამოცხადდა და საბოლოო სტატუსი მიენიჭა 32 207 ერთეულ ელექტრონულ ტენდერს საიდანაც ხელშეკრულება გაფორმდა 23 120 (72%) ტენდერში ხოლო უარყოფითი შედეგით დასრულდა ანდა შეწყვეტილია 9 087 (28%) ერთეული ტენდერი, რაც შეეხება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, გამოცხადდა და საბოლოო სტატუსი მიენიჭა 30 812 ერთეულ ელექტრონულ ტენდერს, საიდანაც ხელშეკრულება გაფორმდა 22 953 (74%) ტენდერში ხოლო უარყოფითი შედეგით დასრულდა ანდა შეწყვეტილია 9 087 (26%) ერთეული ტენდერი (იხ. ნახაზი 2). აღნიშნული მონაცემების გაანალიზება ცხადყოფს, რომ შემსყიდველ ორგანიზაციათა კვალიფიკაცია უკეთ დადგეგმონ, განახორციელონ და ზოგადად წარმართონ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი გაზრდილია და ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას.



ნახაზი 2. ტენდერების განაწილება შედეგების მიხედვით

უდავოდ მისასალმებელია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთანხმების მიმდინარე პროცესი, რომლის ფარგლებშიც 2022 წელს ევროკავშირის ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ საქართველოში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტებისათვის საქონლის შესყიდვების ბაზარი გაიხსნა. აღნიშნულს, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის 2021 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ევროკომისიის მიერ დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების პირველი ეტაპის შესრულება. ზემოაღნიშნული გარემოება მნიშვნელოვან შესაძლებლობას აძლევს საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს თანაბარ კონკურენტულ გარემოში მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირში გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში სადაც 250 0000-მდე შემსყიდველი სუბიექტი ყოველწლიურად დაახლოებით 2 ტრილიონი ევროს ღირებულების სახელმწიფო შესყიდვას ახორციელებს. აღნიშნული თავის მხრივ უდიდესი გამოწვევაა იმ ქართული კომპანიებისათვის, რომლებსაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ზემოხსენებულ ტენდერებში, რადგანაც, იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ სატენდერო პირობები და იყვნენ კონკურენტუნარიანები უდიდეს ბაზარზე მოუწევთ მნიშვნელოვნად გაამჯობესონ შიდა წარმოება, დანერგონ ის სტანდარტები, რაც მოქმედებს და სავალდებულოა ევროკავშირის ტერიტორიაზე, მათ შორის მენეჯმენტის, უსაფრთხოების, ხარისხის, გარემოსდაცვით და სხვა მიმართულებებში, ასევე დასჭირდებათ აქტიური კომუნიკაცია იპოვონ პარტნიორები, სხვა კომპანიები ევროკავშირში, ვისთანაც შეძლებენ ერთგვარი გაერთიანების შექმნას და პირველ ეტაპზე თუნდაც ამ გაერთიანების მეშვეობით – ქვეკონტრაქტორის ან თანაწევრის სტატუსით მონაწილეობა მიიღონ და გაიმარჯვონ ევროკავშირის ღია ტენდერებში და ა.შ.

ამ ყველაფრით იმის თქმა გვინდა, რომ, როგორც ქართულმა ბიზნესსექტორმა, ასევე საქართველოს მთავრობის შესაბამისმა უწყებებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ზემოაღნიშნული შესაძლებლობა და ერთობლივად იმუშაონ იმასთან დაკავშირებით, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში წარმოებული საქონელი იყოს კონკურენტუნარიანი ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვებში.

სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, პერმანენტულად ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია, თანაბარი და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულისთვის სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული მუდმივი დაკვირვების პროცესშია საქართველოში 4800-მდე შემსყიდველი სუბიექტის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან მიმართებაში. 2022 წელს სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის პროცესის შედეგად (რომლის ფარგლებშიც შესწავლილ იქნა ათასობით სხვადასხვა შემთხვევა) გამოვლენილ პროცედურულ დარღვევებზე შემსყიდველ ორგანიზაციებს გაეგზავნათ 2 129 წერილი, ხოლო 61 შემსყიდველი სუბიექტის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, სადაც გამოიკვეთა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შინაარსი დაიწყო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები [1, გვ. 48]. რაც შეეხება 2023 წელს გამოვლენილ პროცედურულ დარღვევებზე შემსყიდველ ორგანიზაციებს გაეგზავნათ 1 845 წერილი, ხოლო 62 შემსყიდველი სუბიექტის მიერ განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებით, სადაც გამოიკვეთა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შინაარსი დაიწყო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები [2, გვ. 47].

ეს ყოველივე იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ, მიუხედავად დღემდე მიღწეული დიდი წარმატებებისა, კვლავაც უნდა გააგრძელოს მუშაობა საჯარო სექტორში დასაქმებუილ მოხელეთა კომპეტენციასა და პროფესიონალიზმის ამაღლების მიმართულებით, გააღრმავოს დიალოგები შესყიდვებში მონაწილე მხარეებთან, გააუმჯობესოს სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხი, უფრო მეტად ითანამშრომლოს მსგავსი პროფილის მქონე უცხოეთის წარმატებულ ორგანიზაციებთან მათი გამოცდილების გაიზარების მიზნით და ა. შ.

დასკვნა

ამრიგად, მოცემული საკითხების გაანალიზებით ჩანს, რომ სახელმწიფო შესყიდვების როლი უდიდესი მნიშვნელობისაა, როგორც საჯარო სექტორისთვის მაღალი ხარისხის შესყიდვის ობიექტის მიღების თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, გრძელვადიან პერსპექტივაში ფინანსური რესურსის სწორ და ყაირათიან ხარჯვის ეფექტს გვაძლევს, ასევე კერძო სექტორისთვის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, ვისაც საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვებში და ღია კონკურენციისა და თანაბარი ხელმიწსაწვდომობის პირობებში იყოს ზემოაღნიშნული შესყიდვის ობიექტის მიმწოდებელი.

წარმოდგენილი საკითხის შესწავლით, ჩვენ, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში აღმოვაჩინეთ როგორც წარმატებები, ისე გარკვეული ხარვეზები. ხარვეზების აღმოსაფხვრელად დავსახეთ გარკვეული ღონისძიებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, თბ., 2023.
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, თბ., 2024.
3. კიკვაძე ო., მახარაშვილი ნ., ძაგანია მ., შესყიდვების ადმინისტრირება, თბ. 2017
4. კიკვაძე ო., სახელმწიფო შესყიდვების სრულყოფა საჯარო ფინანსების ადმინისტრირებაში, თბ. 2016.
5. ძაგანია მ., კიკვაძე ო., სახელმწიფო შესყიდვების სისტემა საქართველოში, თბ., 2011.
6. ზარნაძე ნ., ნარმანია დ., საზოგადოებრივი ადმინისტრირების საფუძვლები და საზოგადოებრივი ადმინისტრირება საქართველოში, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2009.

REFERENCES:

1. The State Procurement Agency's 2022 Report; Tbilisi 2023
2. The state Procurement Agency's 2023 report; Tbilisi 2024
3. Kikvadze O., Makharashvili N., Dzagania M., Procurement Administration, Tbilisi 2017
4. Kikvadze O., Improving Public Procurement in Public Finance Administration, Tbilisi 2016
5. Dzagania M., Kikvadze O., Public Procurement System in Georgia, Tbilisi, 2011
6. Zaradze N., Narmania D., Public Administration Principles and Public Administration in Georgia, additional manual, Tbilisi 2009.

ANALYSIS AND EVALUATION OF STATE PROCUREMENT IN GEORGIA

Otar Kikvadze
Doctor of Business Administration
otokikvadze@gmail.com

RESUME

The article discusses the state of public procurement in Georgia in 2022-2023. An analysis and assessment of economic indicators have been performed. Amount, structure and dynamic of service and work, a involvement of business projects in procurement, a participation of small enterprises in tenders have been analyzed and evaluated.

The activities of the State Procurement Agency in terms of monitoring the state procurement process are presented separately..

The part of state procurement process has the positive (for example, the possibility of small enterprises being involved in public procurement, the increase in the number of contracts concluded in tenders, etc.), while the part of the work negative review (for example, violations identified during the monitoring process, etc.).

Keywords: state**,** agency**,** purchaser**,** supplier**,** tender**,** contract.